

გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების

ცვლილება №1

ქ.თბილისი

11 აგვისტო, 2016 წელი

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 24 მაისის №36/33 და 2016 წლის 4 აგვისტოს №52/13 გადაწვეტილებების საფუძველზე, 2014 წლის 1 სექტემბრის (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიის რეგისტრაციის № N5/003-00 თარიღი 26.08.2014) "გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში" განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. ხელშეკრულების 4.1.1-4.1.2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;
"4.1.1. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ იგი რეგისტრირებულია კვალიფიციურ საწარმოდ როგორც: განაწილების ლიცენზიის, პირდაპირი მომხმარებელი, ექსპორტიორი ან ელექტროსადგურის მფლობელი პირი ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით საცდელი გაშვებისა ან/და კომპლექსური გასინჯვის პერიოდში;
4.1.2. საანგარიშო პერიოდში მიწოდების პუნქტებში მიღებული აქვს ელექტროენერგია მისი განაწილების და ელექტროენერჯის საცალო მომხმარებლებისათვის გატარების, პირდაპირი მოხმარების, ექსპორტის ან ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით საცდელი გაშვებისა ან/და კომპლექსური გასინჯვის პერიოდში ელექტროსადგურის საკუთარი მოხმარების მიზნებისთვის."
2. ხელშეკრულების 6.4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6.4¹ პუნქტი:
"6.4¹. მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა საწარმო გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის აქტის ან/და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) მონაცემებს, საწარმომ უნდა გადარიცხოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ანგარიშზე საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში (ანგარიშ-ფაქტურაში) აღნიშნული თანხა. ვალდებულება სრულად შესრულებულად ითვლება, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის საბანკო ანგარიშზე გარანტირებული სიმძლავრის სრული ღირებულების ჩარიცხვის დღეს. საწარმო ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების დროს, საგადახდო დავალებაში მიუთითოს გადახდის დანიშნულება (დავალიანების დასახელება, რომლის დაფარვაც ხდება).
იმ შემთხვევაში, თუ საგადახდო დავალებაში მითითებული არ იქნება გადახდის დანიშნულება და გადახდილი თანხა არ იქნება საკმარისი ბაზრის ოპერატორის წინაშე არსებული ყველა ვალის დასაფარად, ვალის დაფარვა მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის პირობების შესაბამისად, ხოლო თანაბარი სიმძიმის მოთხოვნების შემთხვევაში, ბაზრის ოპერატორი გადახდილი თანხის გადანაწილებას მოახდენს გარანტირებული

გ. ა. შიშ

სიმძლავრისა და საბაზანსო ელექტროენერჯის საფასურის დავალიანებებს შორის პროპორციულად.”

3. წინამდებარე ცვლილება ძალაში შედის საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებისა და “ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით” დადგენილი წესით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან რეგისტრაციისთანავე და მოქმედებს უვადოდ.

სს “ელექტროენერჯეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი”

მისამართი: საქართველო, თბილისი,

ქველი თბილისის რაიონი, ბარათაშვილის ქ. №2

საბანკო რეკვიზიტები: სს “თიბისი ბანკი”

ბანკის კოდი TBCBGE22

ა/ა GE76TB7505936030100001

საიდენტიფიკაციო კოდი: 205170036

ვახტანგ ამბოკაძე

გენერალური დირექტორი





საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

ბ ა ლ ა ნ ე ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 36/33

2016 წლის 24 მაისი

ქ. თბილისი

„გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 14 აგვისტოს №30/2 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ელექტროენერჯეტიკისა და ზუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და 23¹ მუხლის მეოთხე პუნქტისა და კომისიის 2003 წლის 7 აგვისტოს № 12 დადგენილებით დამტკიცებული „ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების“ 29-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 14 აგვისტოს №30/2 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობებში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) 4.1.1.-4.1.2. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1.1. ელექტროენერჯეტიკული ზაზრის ოპერატორის მიერ ოგი რეგისტრირებულია კვალიფიციურ საწარმოდ როგორც განაწილების ლიცენზიატი, პირდაპირი მოხმარებელი, ექსპორტიორი, ან ელექტროსადგურის მფლობელი პირი ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით საცდელი გაშვებისა ან/და კომპლექსური გასინჯვის პერიოდში;

4.1.2. საანგარიშო პერიოდში მიწოდების პუნქტებში მიღებული აქვს ელექტროენერგია მისი განაწილების და ელექტროენერჯის საცალო მოხმარებლებისათვის გატარების, პირდაპირი მოხმარების, ექსპორტის ან ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით საცდელი გაშვებისა ან/და კომპლექსური გასინჯვის პერიოდში ელექტროსადგურის საკუთარი მოხმარების მიზნებისთვის.“;



ბ) 6.4. პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6.4¹. პუნქტი:

6.4¹. მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა საწარმო ელექტროენერჯის მიღება-ჩაბარების აქტს ან/და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) მონაცემებს, საწარმომ უნდა გადარიცხოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ანგარიშზე საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში (ანგარიშ-ფაქტურაში) აღნიშნული თანხა. ვალდებულება სრულად შესრულებულად ითვლება, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის საბანკო ანგარიშზე საბალანსო ელექტროენერჯის სრული ღირებულების ჩარიცხვის დღეს. საწარმო ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების დროს, საგადახდო დავალებაში მიუთითოს გადახდის დანიშნულება (დავალიანების დასახელება, რომლის დაფარვაც ხდება).


იმ შემთხვევაში, თუ საგადახდო დავალებაში მითითებული არ იქნება გადახდის დანიშნულება და გადახდილი თანხა არ იქნება საკმარისი ბაზრის ოპერატორის წინაშე არსებული ყველა ვალის დასაფარად, ვალის დაფარვა მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის პირობების შესაბამისად, ხოლო თანაბარი სიმძიმის მოთხოვნების შემთხვევაში, ბაზრის ოპერატორი გადახდილი თანხის გადანაწილებას მოახდენს საბალანსო ელექტროენერჯისა და გარანტირებული სიმძლავრის საფასურის დავალიანებებს შორის პროპორციულად.”.

2. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.
4. დაევალოს კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს (ნ. ლაშხია), დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნება კომისიის შენობაში საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილას და კომისიის ვებ-გვერდზე (www.gnerc.org).
5. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტს (ნ. ბერიძე).

თავმჯდომარე

კომისიის წევრი

კომისიის წევრი



ი. მილორავე

გ. შონია

გ. ფანგანი





საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
პარამუშლირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №52/13

2016 წლის 4 აგვისტო

ქ. თბილისი

„გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 14 აგვისტოს №30/2 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 24 მაისის №36/33 გადაწყვეტილებაში შეცდომის გასწორების თაობაზე

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში – კომისია) საჯარო სხდომაზე განიხილა საკითხი „გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 14 აგვისტოს №30/2 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 24 მაისის №36/33 გადაწყვეტილებაში შეცდომის გასწორების თაობაზე.

კომისიამ 2016 წლის 24 მაისს მიიღო №36/33 გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, კომისიის 2014 წლის 14 აგვისტოს №30/2 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობებში“ (შემდგომში – სტანდარტული პირობები) შევიდა ცვლილება: სტანდარტული პირობების 4.1.1. და 4.1.2 პუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და სტანდარტულ პირობებს დაემატა 6.4¹ პუნქტი, რომელშიც დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, №36/33 გადაწყვეტილების 6.4¹ პუნქტის პირველი პარაგრაფის პირველ წინადადებაში „გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის აქტის“ ნაცვლად მითითებულ იქნა „ელექტროენერჯის მიღება-ჩაბარების აქტი“, ხოლო იმავე პუნქტის პირველი პარაგრაფის მეორე წინადადებაში „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის სრული ღირებულების“ ნაცვლად მითითებულ იქნა „საბალანსო ელექტროენერჯის საფასურის სრული ღირებულება“.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

1. „გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 14 აგვისტოს №30/2 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 24 მაისის №36/33 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) 6.4. პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6.4¹. პუნქტი:
6.4¹. მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა საწარმო გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის აქტის ან/და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) მონაცემებს, საწარმომ უნდა გადარიცხოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ანგარიშზე საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში (ანგარიშ-ფაქტურაში) აღნიშნული თანხა. ვალდებულება სრულად შესრულებულად ითვლება, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის საბანკო ანგარიშზე გარანტირებული სიმძლავრის სრული ღირებულების ჩარიცხვის დღეს. საწარმო ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების დროს, საგადახდო დავალებაში მიუთითოს გადახდის დანიშნულება (დავალიანების დასახელება, რომლის დაფარვაც ხდება).

იმ შემთხვევაში, თუ საგადახდო დავალებაში მითითებული არ იქნება გადახდის დანიშნულება და გადახდილი თანხა არ იქნება საკმარისი ბაზრის ოპერატორის წინაშე არსებული ყველა ვალის დასაფარად, ვალის დაფარვა მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის პირობების შესაბამისად, ხოლო თანაბარი სიმძიმის მოთხოვნების შემთხვევაში, ბაზრის ოპერატორი გადახდილი თანხის გადანაწილებას მოახდენს გარანტირებული სიმძლავრისა და საბალანსო ელექტროენერჯის საფასურის დავალიანებებს შორის პროპორციულად.“.

2. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.


4. დაევალოს კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს (ნ. ლაშხია), დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნება კომისიის შენობაში საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილას და კომისიის ვებ-გვერდზე (www.gnerc.org).
5. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტს (ნ. ბერიძე).

ირინა მილორავა



კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი




კომისიის წევრი

გოჩა შონია



კომისიის წევრი





ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/907
12/08/2016

907-01-2-201608121619




სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“
რეაბილიტაციის მმართველს,
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ სულხან ზუმბურიძეს

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის
22¹ და 23¹ მუხლების, ასევე „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მე-9
მუხლის საფუძველზე, სარეგისტრაციოდ წარმოგიდგენთ:

1. საბალანსო ელექტროენერჯის ყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების
სტანდარტულ პირობებს (3 ეგზ.);
2. საბალანსო ელექტროენერჯის გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების
სტანდარტულ პირობების (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის რეგისტრაციის
N1/1479-00 თარიღი 26.08.2014) ცვლილება N1-ს (3 ეგზ.);

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE



სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2007

3. გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის რეგისტრაციის N5/003-00 თარიღი 26.08.2014) ცვლილება N1-ს (3 ეგზ).

ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს თან ვურთავთ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 24 მაისის N36/31, N36/32, N36/33 და 2016 წლის 4 აგვისტოს N52/13 გადაწყვეტილებების ასლებს.

დანართი: 54 გვერდი

პატივისცემით,

ვახტანგ ამბოკაძე



გენერალური დირექტორი